ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №77

16.02.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
3. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 თებერვლის №12-032104393-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 თებერვლის №12-032104663-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 თებერვლის №12-032104393-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 თებერვლის №21.142.174 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 11 წინადადება - №01210282420-67; №0121033863-67(№01203532034-67); №01203602199-67; №01210251789-67; №01210401821-67; №01203522221-67; №01202063601-67; №0120363462-67; №01201573172-67 და 2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა).

დადგენილების პროექტის განხილვისას წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა:

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01210282420-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.037.018) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ვინაიდან, №01.18.13.037.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ძირითადი ნაწილი მოქცეულია საავტომობილო გზების მოდერნიზაციის დროებითი შეზღუდვის ზოლში (ფონიჭალა-მარნეული-გეგუთი), განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა პოზიციის დასაფიქსირებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ,

გადაეგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემავალ საავტომობილო გზების დეპარტამენტს.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის №06-0121018119-16 წერილის შესაბამისად (2020 წლის 14 აპრილის №2-07/4401 წერილით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს პასუხის გაცემის თაობაზე), აღნიშნული დეპარტამენტის რეკომენდაციაა, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.18.13.037.018) რაიმე სახის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისას გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა - მარნეული - გუგუთის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ0 - კმ3+700 მონაკვეთის მარცხენა მხარის მიმდებარედ განაშენიანება (სადაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა გზისპირა ინფრასტრუქტურული ობიექტები განთავსებულია საავტომობილო გზის ასფალტბეტონის საფარის კიდედან დაახლოებით 25 მეტრის დაშორებით) და მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.18.13.037.018) სამშენებლო სამუშაოების წარმოების შესაძლებლობის საკითხი განხილულ იქნას საავტომობილო გზის ასფალტბეტონის საფარის კიდედან 25 მეტრს მიღმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 1 თებერვლის N18-01210322854 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ამასთანავე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.18.13.037.018 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.037.018) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია მშენებლობის საავტომობილო გზის ასფალტბეტონის საფარის კიდედან 25 მეტრს მიღმა განხორციელების პირობით.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0121033863-67(№01203532034-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.500) მოთხოვნილია ძირითადი რუკით

განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 25 იანვრის №18-01210252872 წერილით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება №01.72.14.006.500 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონისა და არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 3 თებერვლის №18-01210342934 წერილით, თანახმაა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ, დანართის სახით წარმოდგენილ ტერიტორიებზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონისა და არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.500) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონისა და არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენების მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01203602199-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი №18-22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.12.007.116) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 იანვრის №18-0121011104 წერილით, თანახმაა განხორციელდეს

მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.18.12.007.116 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ). შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე საკადასტრო ერთეულები ზემოაღნიშნული ფუნქციით არის განვითარებული.

ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის, მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარებისა და ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, №01.18.12.007.116 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 4 თებერვლის №18-01210352318 წერილით, თანახმაა წარმოდგენილი არეალის ფარგლებში განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი №18-22-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.12.007.116) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.31.035 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) სასოფლო-სამეურნეო ზონით (სოფზ) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ).

მოთხოვნილი ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 4 თებერვლის №18-01210352360 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით,** ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.08.25.270 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 4 თებერვლის №18-01210352357 წერილით, თანახმაა წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01210251789-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გლდანის VIII მ/რ, კორპუსი №15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.399, №01.11.10.001.334, №01.11.10.001.396 და მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 4 თებერვლის №01210352328 წერილის მიხედვით, თანახმაა, წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

საპროექტო არეალი ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს გამწვანებულ ტერიტორიას. განაშენიანებულია მაღალი ინტენსივობით, სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

- განმარტებითი ბარათის „ზ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01210401821-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.274) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, №01.14.05.007.274 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ამდენად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება არ გამოიწვევს ზონის არეალის ფრაგმენტაციას და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№01203522221-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.097.020) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 2 დეკემბრის №0121033280 წერილის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიას გააჩნია განვითარების სივრცითი რესურსი. შესაბამისად, სამომავლოდ მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარების პროცესში მიმდებარე ტერიტორიის შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფისათვის, ფუნქციური

ზონის ცვლილება მიზანშეწონილია ისე, რომ ცვლილების შემდეგ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დარჩენილი უმოკლესი მონაკვეთის სიგანე იყოს 8.5 მეტრი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.097.020) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია (ცვლილების ფართობი: 20 კვ.მ).

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№01202063601-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა I შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.06.427; №81.01.06.428; №81.01.06.368; №81.01.06.897) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2020 წლის 5 აგვისტოს №01202183412 წერილის მიხედვით, ითვალისწინებს რა აღნიშნულ ტერიტორიაზე სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობას, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად არსებულ გზაზე მოხდება სატრანსპორტო ზონის (ტზ-1) გავრცელება მისი სიგრძის, სიგანისა და ფართობის ცვლილების გარეშე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი გზა (იუნკერთა პირველი შესახვევი) დაფიქსირდა შესაბამისი ფუნქციური ზონით - სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვის მიზნით ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ხოლო სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილება, რაც შეეხება ცვლილების შედეგად დარჩენილ ხარვეზს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) იცვლება მომიჯნავედ მდებარე სატყეო ზონით მცირე ნაწილზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა I შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.06.427; №81.01.06.428; №81.01.06.368; №81.01.06.897) და მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1), ხოლო საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№0120363462-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აბაშელის ქ. №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.057.093)

მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებული ხარვეზის გასწორების მიზნით, ცვლილებას ექვემდებარება №01.14.11.053.110 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე დარჩენილი სატრანსპორო ზონა 1-იც (ტზ-1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, **შეკითხვები დასვეს:**

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - №01.14.11.057.093 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, საკუთრებაში გადაცემის პერიოდის და ასევე, №01.14.11.057.093 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონის (ტზ-1) ცვლილების შემთხვევაში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შესახებ.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა მომხსენებელმა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა, რომლის ინფორმაციით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, №01.14.11.057.093 საკადასტრო მიწის ნაკვეთი კერძო პირის (მოქ. მ. უგრეხელიძე) საკუთრებაშია 2019 წლიდან (საფუძველი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრეულება). №01.14.11.057.093 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე გადის გზათა ქსელი - ნ. აბაშელის ქუჩა, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით არის ჩიხი და მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან მისასვლელ ერთადერთ გზას არ წარმოადგენს.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სივრცით-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია №01.14.11.057.093 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ (№01.14.11.053.110 საკადასტრო ერთეულის მცირე ნაწილზე) არსებული ფუნქციური ზონის - სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილების საკითხის განხილვა გადაიდოს.

გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს **№0120363462-67 განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „ლ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - **№01201573172-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე N154-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.017) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

№01.17.11.027.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით მიწის ნაკვეთის დიდ ნაწილზე გავრცელდა სპეციალური ზონა 1 (სპეც-1), ხოლო მცირე ნაწილზე - საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანებით. ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.017) განვითარება არ იგეგმება მასზე გავრცელებული ფუნქციური ზონის შესაბამისად.

მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით ასევე ხორციელდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე №154-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.017, №01.17.11.027.073, №01.17.11.027.020, №01.17.11.027.101) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01210282420-67; №0121033863-67(№01203532034-67); №01203602199-67; №01210251789-67; №01210401821-67; №01203522221-67; №01202063601-67; №01201573172-67 განცხადებებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ორ ინიციატივასთან (სულ: 10 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას №0120363462-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აბაშელის ქ. №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.057.093) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების საკითხის განხილვა **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 12 თებერვლის **№12-032104393-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01210282420-67; №0121033863-67(№01203532034-67); №01203602199-67; №01210251789-67; №01210401821-67; №01203522221-67; №01202063601-67; №01201573172-67 და 2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №0120363462-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, აბაშელის ქ. №21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.057.093) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების საკითხის განხილვა **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დამატებითი ინფორმაციის (დასაბუთების) წარმოდგენამდე.

2. **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 12 თებერვლის **№12-032104393-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 10 წინადადება - №01210282420-67; №0121033863-67(№01203532034-67); №01203602199-67; №01210251789-67; №01210401821-67; №01203522221-67; №01202063601-67; №01201573172-67 და 2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 12 თებერვლის №12-032104393-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 12 თებერვლის №21.158.186 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №0120240295-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341391); №01202313198-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341384); №01200871938-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0120240295-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341391) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.37.005.001; №01.19.37.012.026, №01.19.37.004.001) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა

და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.21.03.030, 01.19.36.014.452, 81.21.03.024, 01.19.36.014.449, 81.21.03.027, 81.21.03.025, 81.21.03.029, 01.19.36.014.453, 01.19.36.014.454, 01.19.36.014.455, 01.19.36.014.456, 01.19.36.014.457, 01.19.36.014.525, 01.19.36.014.526, 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №32 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.37.005.001; №01.19.37.012.026, №01.19.37.004.001) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01202313198-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341384) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.37.012.019; №01.19.37.012.017; №01.19.37.012.021; №01.19.37.012.011; №01.19.37.012.009) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ხეხილ-სანერგე მეურნეობაში, ვარკეთილი 3-ის დასახლება, IV მიკრორაიონის მიმდებარედ, ვარკეთილსა და თბილისის ზღვას შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№81.21.03.030, 01.19.36.014.452, 81.21.03.024, 01.19.36.014.449, 81.21.03.027, 81.21.03.025, 81.21.03.029, 01.19.36.014.453, 01.19.36.014.454, 01.19.36.014.455, 01.19.36.014.456, 01.19.36.014.457, 01.19.36.014.525, 01.19.36.014.526, 81.21.03.031) საცხოვრებელი რაიონის (საცხოვრებელი უბნები, საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრები, სავაჭრო და სარეკრეაციო ცენტრები, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №31 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.37.012.019; №01.19.37.012.017; №01.19.37.012.021; №01.19.37.012.011; №01.19.37.012.009) ფუნქციური

ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01200871938-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდოშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.06.015.003; №01.13.06.015.005; №01.13.06.015.002; №01.13.06.015.014; №01.13.06.015.001; №01.13.06.015.010; №01.13.06.015.012) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღუღეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდოშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი კომპლექსის დასაგეგმარებლად“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 9 დეკემბრის №01/1863 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №33 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ა. წერეთლის გამზირზე, სოხუმის, ევდოშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩებს შორის არსებულ კვარტალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.13.06.015.003; №01.13.06.015.005; №01.13.06.015.002; №01.13.06.015.014; №01.13.06.015.001; №01.13.06.015.010; №01.13.06.015.012) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №0120240295-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341391); №01202313198-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341384); №01200871938-67 (სულ: 3 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 15 თებერვლის **№12-032104663-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №0120240295-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341391); №01202313198-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341384); №01200871938-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 15 თებერვლის **№12-032104663-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №0120240295-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341391); №01202313198-67 (სამსახურებრივი ბარათი: №16-01210341384); №01200871938-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი